# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 136. კვირა, 20 ივლისი 1903 წ. გაზეთის № 2212.



ნერონი ცირკში.—სურათი პეტერსისა

### მ ა ჯ ი ა რ ი

ფრ. კოპპედინ.

უნგრეთის გრაფი,—მშვენებით სავსე,
ეტრფის, უგალობს ძვირფას თვალეჟღს
და იმავე დროს უგნურად ჰფლანტავს,
დიად სიმდიდრეს მამა-პაპეულს.

ჯერ არ უხილავს ბრძოლის ქარ-ცეცხლი,
მტერთ ზედ აროდეს გამარჯვებულა,
მისი მახვილი, რაც თავი ახსოვს,
ოსმალთა სისხლში არ გაულებულა:

სწორედ ეს გრაფი, ამბობენ, ერთხელ
ნადიმს გამართავს, თვის უმათ მოიწვევს:
მის სამემკვიდრო დიდი დარბაზი,
მეტად გრძელია, ხალხს ბევრს დაიტევს.

თვითონ გამოწყობ დიბის ხალათით,
წამოსასხამი უფარავს მხრებსა
და საიდუმლო წინათ-განზრახვით
ოდნავ იმაგრებს ზედ ძვირფას თვლებსა..

რა ცეკვავს გრაფი, ძირს ცვივა თვლები,
ჰკრეფენ იქ მყოფნი სიხარულითა,
ასამდის სტუმარს გავსილი მუჭა,
შინისკენ მიაქვს თვალეჟულითა.

გათავდა ლხინი... თვითონ მაგნატი,
ურჩი, ამაყი, შეუპოვარი,
დაშორდა ხალხსა, განვლო დარბაზი,
ჰსურდა შაევლო სასახლის კარი.

მაგრამ შენიშნა იქვე მოხუცი,
ვის მჭკნარნი ხელნი, ჯვრად ეწყო გულზედ;
მხოლოდ სიცილი, მხოლოდ ღიმილი,
მას მოსდიოდა სულელთ ფერხულზედ.

ეს მაჯიარი იყო ნამდვილი,
მტერთა მზარავი, განთქმული გმირი,
სულ სხვა რიგ სწამდა მამული, ხალხი,
სხვა ხმით ჰკიოდა მისი საყვირი.

შესწყდა მუსიკა... დადუმდა ყველა...
გათავდა ხოტბა, შესხმა, შექება...
უნგრეთის გრაფი, ამაყი, ლაღი,
მოხუცს დაცინვით ესაუბრება:

„ჩემო კეთილო, ძრიელ მებრალვი:
ვერ გაგიკითხე, არა დაგრჩარა,
ლალი, ზურმუხტი და იაგუნდი,
შენც კარგად იცი, აქ, ძირს, ეყარა,

მაგრამ აჰკრიფეს... შენ არრა გერგო...
ეჰ, შებრალება გვიანღა არი...
მართლა, შეგეძლო შენც აგეკრიფა,
რათ არ აჰკრიფე, აბა, მითხარი?“

მაშინ შინა უმამ მიუგო ბატონს:
„გრაფო, არა მსურდა მეც მრგებოდა,
რადგანაც, ვიცი, მათ აკრეფისთვის
ქედისა მოხრა დამჭირდებოდა.“

ბ. ახოს-შირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცნობი კაცი

ა. ჩეხოვისა

მშვენიერი ვანდა, ანუ როგორც იმისი პასპორტი იუწყებოდა—საპატიო მოქალაქის კანავკინის ასული ნასტასია საავადმყოფოდან გამოსვლის უმალ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: არ იცოდა, სად ან ვის ჰერ ქვეშ შეეფარებინა თავი და, ამას გარდა, გროში რა არის, გროშიც კი არ მოეპოვებოდა.

რა უნდა ექმნა?

პირველი იმისი საქმე ლომბარდში წასვლა და თავის ერთად-ერთ ძვირფას განძის—ფირუზის ბეჭ ის—დაგირავება იყო: ბეჭედში ერთი მანეთი მისცეს, მაგრამ... რას იყიდი მანეთით? ამ ფულით ხომ ვერ იყიდი ვერც ახალ მოდის მოკლე ზედსაცმელს, ვერც მაღალს შლიაპას, ვერც ყვითელ ფეხსაცმელებს. უამისოდ კი ქალი იმდენად გულ-დაწყვეტილი იყო, რომ თავისავე თავს ტიტველ ადამიანს ადარებდა. ამ წუთს იგი მხოლოდ კაბასა და ფეხსაცმელზე ჰფიქრობდა და სრულიად არ აღონებდა ისა, თუ რასა სჭამდა დღეს, ან სად გაათევდა ღამეს.

„ნაცნობ კაცს შევხვდები...—ჰფიქრობდა: - ფულს გამოვართმევ, ვერც ერთი ვერ მეტყვის უარს, რადგან...“

მაგრამ ნაცნობი არავინა ჰხვდებოდა. მერე, რა ადვილად შეიძლებოდა იმათი ნახვა საღამო ხანს რენესანში, მაგრამ ვაი რომ რენესანში უბრალო კაბით და უქუდოთ არ შეუშვებენ.

რა ჰქმნას?

ბევრის სიარულისა და ხანგრძლივის ფიქრის შემდეგ ვანდა დაადგა ამ გადაწყვეტილებას: პირდაპირ მივა რომელსამე ნაცნობ კაცთან და გამოართმევს ფულს.

„ვისთან მივიდე?—ჰფიქრობდა:—მიშასთან არ შეიძლება—ოჯახის პატრონია... წითური ბებერი კი ეხლა სამსახურში იქნება.“



ნადავლი.—სურათი კორნაოსა.

ვანდას მოაგონდა კბილის ექიმი ფინკელი, რომელმაც ამ სამიოდე თვის წინად ოქროს სამაჯური აჩუქა და რომელსაც თვით ვანდამ ერთხელ გერმანულ კლუბში, ვახშმის დროს, თავზე მთელი ჭიქა ლუდი გადაასხა. ფინკელის მოგონებამ ქალი ერთბაშად გაამხიარულა.

„უეჭველად მომცემს, ოღონდ სახლში მივუსწრო!—ჰფიქრობდა ექიმისაკენ მიმავალი:—თუ უარი მითხრა და არ მომცა, მაშინ ფანჯრებს სულ ერთიან მივულეწ-მოვულეწამ.“

როდესაც ვანდა კბილის ექიმის კარებს მიუახლოვდა, მოქმედების გეგმა უკვე დამზადებული ჰქონდა: სიცილ-ხარხარით გაივლის კიბეს, შურდულივით შევარდება ექიმის კაბინეტში და მოსთხოვს 25 მანეთს...

მაგრამ, როდესაც ზარის დასარეკს ხელი მოჰკიდა, სულ ერთიანად დაიბნა და პირვანდელი გეგმაც წამს გაუქრა თავიდან. ვანდა ერთბაშად შეიპყრო შიშმა და რაღაც გაუგებარმა მღელვარებამ, რაც იმას თავის დღეში არ დამართნია და არ განუცდია. იგი გულადი და გამბედავი იყო მხოლოდ ღვინით გაჟღენთილ მამაკაცთა შორის. მაგრამ ეხლა, როდესაც თვითონ უბრალო კაბაში იყო გამოწყობილი და ამასთან უბრალო მთხოვნელის როლი უნდა ეკისრნა, რომლისთვისაც შეეძლოთ უარი ეთქვათ, არ მიეღოთ, ძალა უნებურად შეჰკრთა და დაეკარგა პირვანდელი გამბედაობა. შიშმა და სირცხვილმა შეიპყრო ქალი.

„შეიძლება იმას სრულიადაც აღარ ვახსოვარ და დამივიწყა—ჰფიქრობდა ვანდა და ვერ ჰბედავდა ზარის სარეკი დაეწია ძირს.—ან არა და როგორ შევიდე იმასთან ასეთის კაბით? თითქოს მთხოვარა ან ვიგინდარა გლეხის გოგო ვიყო...“

და გაუბედავად დაჰრეკა.

შიგნიდან მსახურის ფეხის ხმა მოისმა.

—ექიმი შინ არის?—იკითხა ვანდამ.

ეხლა ვანდას ბევრად უფრო ესიამოვნებოდა, რომ მსახურს ეთქვა: „არა, არ არისო“, მაგრამ პასუხის ნაცვლად ამ უკანასკნელმა კარები გაუღო, შესავალ ი შეიყვანა და პალტოც გაჰხადა. თავდა პირველად, თუმცა ზევით ასასვლელი კიბე მეტად ლამაზად და ხელოვნურად იყო გაკეთებული, ვანდას თვალ-

ში მოჰხვდა კედლის დიდი სარკე, რომელშიაც იმან ნათლად დაინახა კონკებში გახვეული, ჟამ-გადასულ ქუდსა და ზედსაცმელში გამოწყობილი და ყვითელ ფეხსაცმელებს მოკლებული საკუთარი არსება. ვანდას ძალზე აკვირვებდა ის გარემოება, რომ ეხლა, როდესაც ძველ კონკებში გახვეული მეტად წაავავდა მრეცხავ ან მკერვალ ქალს, იმას ელვიძებოდა სირცხვილი და მოკრძალება, რომელსაც გზას უთმობენ და ულოცავენ პირვანდელი უსირცხვილო გამბედობა და თავ-აღებულება.

—მობრძანდით!—უთხრა მსახურმა ქალმა და შეიყვანა კაბინეთში:—ექიმი ეხლავ გიახლებათ... დაბრძანდით.

და ვანდაც უნებურად დაეშვა რბილ სავარძელზე. „პირდაპირ ვეტყვი: მასესხეთ-მეთქი, ჰფიქრობდა ვანდა: ეს უფრო ზრდილობიანი იქნება, რადგან კარგად მიცნობს. ოღონდ ეს წყეული მოსამსახურე გამეცლებოდეს აქედან. იმასთან როგორღაც არ მეხერხება... და ან რა უნდა, აქ რომ სდგას?“

ხუთი წუთი არ იქნებოდა გასული, კარები გაიღო და შემოვიდა შავგვრემანი, ლოყებ გამობუშტული და ძალზე გამობერილ თვალების პატრონი ექიმი ფინკელი. იმისი ლოყები, თვალები, წამოსიებული მუცელი, მსხვილი ბარძაყები—მეტად მაძღარს და საზიზღარს რასმეს მოაგონებდა ადამიანს. რენესანში ან გერმანულ კლუბში ის საზოგადოდ ყოველთვის შეზარხოშებული იყო ხოლმე, ბევრსაც ჰხარჯავდა ქალებზე და ყოველთვის დიდის მოთმინებით იტანდა იმათ ოინებს (მაგალითად, როდესაც ვანდამ თავზე მთელი ქიქა ლუდი გადაასხა, იმან მხოლოდ გაიღიმა და თითი დაუქნია), მაგრამ ეხლა ძალზე მოღრუბლული იყო და ნამძინარევი ცივად გამოიყურებოდა, როგორც უფროსი რომელისამე დაწესებულებისა, და რაღაცას უგულოდ იღეჭებოდა.

— რას გვიბრძანებთ?—იკითხა და სრულიადაც არ შეუხედნია ქალისათვის.

ვანდამ უნებურად ჯერ მოსამსახურე ქალის სერიოზულ სახეს შეჰხედა, მერე ფინკელის მაძღარ ფიგურას, რომელიც ვერა სცნობდა იმას, და გაწითლდა...

— რას გვიბრძანებთ?—განუმეორა კითხვა კბილის ექიმმა და იმის ხმას, ცოტა არ იყოს, გულმოსულობა დაეტყო.

— კბი... კბილები მტკივა...—წაიდუდუნა ვანდამ.

— ჰმ... რომელი კბილი? აბა მიჩვენეთ, სად?

ვანდას მოაგონდა, რომ ერთი ამოფუღრული კბილი იმასაცა ჰქონდა.

— ქვევით, მარჯვნით...—სთქვა იმან.

— ჰმ... აბა კარგად დააღეთ პირი.

ფინკელმა წარბები შეიჭმუხნა, სულის თქმა შეიკავა და დაუწყო სინჯვა კბილებს.

— გტკივათ?—დაეკითხა, როდესაც ფუღუროიან კბილში რაღაც რკინას დაუწყო ჩხაკუნი.

— მტკივა...—იცრუა ვანდამ. „რომ გაგახსენო, უეჭველია მიცნობსო, ჰფიქრობდა ამ დროს ვანდა: მაგრამ... უჰ, ეს წყეული მსახური... ნეტავ რა უნდა, აქ რომა სდგას?

ფინკელმა ერთბაშად ძალზე ამოიხვნეშა და ზედ პირში მიაბლოყინა ვანდას.

— არ გირჩევთ მაგ კბილის დაპლომბვას, ეგ კბილი, სულ ერთია, არავითარ სარგებლობას არ მოგიტანთ.

ერთ ხანს კიდევ აჩხაკუნებდა ფუღუროიან კბილში პატარა



მეჩექმე.—სურათი ციმისა.

რკინას. თუთუნის კვამლისაგან შემჭვარტლილ თითებით სულ ერთიანად დაუსვარა ვანდას ტუჩები. შემდეგ რაღაც ცივი საგანი ჩაუდო პირში... ერთბაშად ვანდამ საშინელი ტკივილი იგრძნო, ძალზე შეჰკივლა და ფინკელს წაავლო ხელი.

— არაფერია, არაფერი!—ჰბუტბუტებდა ექიმი:—ნუგეშინიათ. . ეგ კბილი სულ ერთია არავითარ სარგებლობას არ მოგიტანთ... გული დაიმშვიდეთ, გამაგრდით.

და გასისხლიანებულის თითებით თვალებთან მიუტანა ვანდას ახლად ამოგლეჯილი კბილი. ამ დროს მსახურმაც პირ ქვეშ პატარა ტაშტი ამოუდვა.

— სახლში მიხვალთ თუ არა, ცივის წყლით გამოივლეთ პირი და სისხლის დენა თავის თავად შესწყდება.

როდესაც ფინკელი ამ დარიგებას აძლევდა, იმ ნაირად გამოიყურებოდა, თითქოს ეუბნებოდა ქალს: როდის დამანებებთ თავს, წახვალთ და მომასვენებთო.

— მშვიდობით!—წაიჩურჩულა ქალმა და კარებისაკენ გასწია.

— ჰმ... ჩემს გასამრჯელოს და შრომის ფასს ვინ მომცემს?—იკითხა დამცინავის კილოთი ფინკელმა.

— ოჰ, უკაცრავად!—წამოიძახა ქალმა, სახეზე ალმური მოედო, სულ ერთიანად გაწითლდა და თითების ცახცახით გადასცა ექიმს ფირუზის ბეჭედში ალებული მანეთიანი.

ქუჩაში გამოსვლისათანავე ვანდა შეიპყრო უფრო მომეტებულმა სირცხვილმა, ვიდრე წინად, მაგრამ ეხლა საკუთარის

სილარიბისა კი არა სცხვენოდა. ეხლა სრულებით არ ამჩნევდა, რომ მოკლებული იყო მაღალ შლიაპასა და ახალს კაბას. ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ და აფურთხებდა მიწაზე სისხლით შეღებილს ნახველს, რომლის ყოველი ამოღება ძალა უნებურად აგონებდა ფუჭად განვლილს ცხოვრებას, მრავალ გვარ შეურაცყოფას, დამცირებას და გაჭირვებას, რომელიც წარსულში არა ერთხელ გადაეტანა და კვლავ უნდა გადაეტანა ხვალ, ერთის კვირისა და წლის შემდეგ, მთელ სიცოცხლის განმავლობაში, თვით სიკვდილამდე...

„ოჰ, რა საშინელებაა, რა აუტანელი ტანჯვა და წვალებაა, ღმერთო ჩემო!“ ლუღლუღებდა ქუჩაში მიმავალი.

მაგრამ... მეორე დღესვე ჩვენი ვანდა ჩვეულებრივ რენესანში ცეკვავდა: თავზე ეხურა ახალი უზარ-მაზარი წითელი შლიაპა, ტანს უმშვენებდა ახალ მოდაზე შეკერილი კაბა. ყვითელ ფეხსაცმელებში გამოწყობილი მადიანად შეექცეოდა ვახშამს, რომელიც ახალგაზდა ყაზანელმა ვაჭარმა გაუმართა.

ლადო ახობაძე



ტრამვაის უსახელო საზოგადოებას ხშირად მეფურგუნეს ცხენები უბიათ ვაგონებში, ამისათვის ნუ გაკიკვირდებათ ამგვარ სურათის ნახვა.



ქუთაისის წყლისავანის „ბაიშიკები“ ეძებენ, თუ სად და რაში დაიხარჯა იმათი ფული.



გორკის (მწერალის) მოგზაურობა ტფილისში თავის პიესის „ნა დნე“-ს სარეკლამოდ. (რუსულ ჟურნალიდან)

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Іюля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.